

პროექტი „აია - ქალაქების სტრატეგიული მართვა“

პროექტს საზოგადოება გმინის ეკონომიური განვითარებისა (SRGG, პოლონეთი) და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ასოციაცია (სათმა) ახორციელებენ. პროექტმა პოლონურ-კანადური განვითარების თანამშრომლობის პროგრამაში გაიმარჯვა და მას პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და LGI აფინანსებენ. პროექტი ხორციელდება ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს მხარდაჭერით.

პროექტი თვითმმართველობისა და რეგიონალური ხელისუფლების, ადგილობრივი განვითარების საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურების მოხელეებზე, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ განვითარების საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებზე არის გათვლილი. პროექტი ოთხ ფაზას მოიცავს.

პირველ ფაზაში ორმოცი მონაწილე სტრატეგიული მართვის მეთოდოლოგიას და მის პრაქტიკულ მაგალითებს გაეცნობა თბილისში გამართულ სასწავლო კურსზე აია – ქალაქების სტრატეგიული მართვა. მაგალითები შეეხება: ეკონომიკის დაგეგმვას; ადგილობრივი მომსახურების ფინანსირებას; კომუნალური მომსახურების კონტრაქტირებას; ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობას; ინვესტორების, ტურისტების და მოსახლეობის მომსახურებას; ტელეინფორმატიკის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასა და პროექტებით მართვას. სასწავლო კურსი 2006 წლის 23-27 ოქტომბერს გაიმართება ქ. თბილისში.

მეორე ფაზა თბილისის კურსის მონაწილეების მიერ მათ ქალაქებთან, რაიონებთან ან რეგიონებთან დაკავშირებული პროექტების მომზადებას ითვალისწინებს.

პროექტის მესამე ფაზა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი და მეორე ფაზის მონაწილეების ნაწილი 2006 წლის 20-24 ნოემბერს პოლონეთში გაემგზავრებიან, სადაც პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში პრაქტიკაში გამოყენებულ სტრატეგიული მართვის ინსტრუმენტებს გაეცნობიან და შეხვდებიან პოლონელ კოლეგებს. დანარჩენებს კი საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტში სწავლო კურსის უფასოდ გაგრძელების შესაძლებლობა ექნებათ. წარჩინებული მსმენელები საჯარო სამსახურის ბიუროსა და უნივერსიტეტის ერთობლივ სერთიფიკატებს მიიღებენ.

მეოთხე ფაზა ქალაქების სტრატეგიული მართვის კურსის სწავლებით დაინტერესებული სასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი და მათთან ქალაქების სტრატეგიული მართვის სასწავლო კურსის დანერგვაში დახმარებას ითვალისწინებს.

საქართველოს მოქალაქეებთან ერთად პროექტში მონაწილეობას აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებიც მიიღებენ.

პროექტში მონაწილეობა უფასოა. მონაწილეები შეირჩევიან SRGG-ს მიერ. მონაწილეობის მისაღებად გთხოვთ თანდართული სარეგისტრაციო ანკეტა და პროექტის აღწერის ფორმა 2006 წლის 13 ოქტომბრამდე უნდა გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტით: office@srgg.org.pl ან ფაქსით: +99532 932895.